ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში მდგარ პირველ ოთხსართულიანი და მშენებერე (ჩაუბარებელი) შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სპორტული დარბაზები. პირველი ოთხსართულიანი შენობის პირველ სართულზე არის განთავსებული ჭადრაკის ოთახი და სპორტული დარბაზი სადც ტარდება აერობიკა და ტანვარჯიში. მეორე შენობა არის ჩაუბარებელი, თუმცა ვიზუალური დათვალიერებით ისეთ მდგომარეობაში რომ შესაძლებელია სასკოლო პროცესის წარმართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საჯარო რეესტრის ამონაწერი; • სპორტული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის) ლაბორატორიები. ფიზიკის, ქიმია და ბიოლოგიის ლაბორატორიას ეთმობა ერთი ოთახი. ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებულია დახურულ კარადებში, გამოკრულია სხვადასხვა თვალსაჩინოება და მოსწავლეების სასწავლო აქტივობებისათვის დგას დიდი ზომის მაგიდები ინდივიდუალური სკამებით. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ერთი ნიჟარა ონკანით. არის ბუნებრივი განიავების საშუალება და ასევე დამონტაჟებულია (არასტანდარტული) გამწოვი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება; • სასაქონლო ზედნადები; • ვიზუალური დათვალიერება; • მასწავლებლებთან გასაუბრები; • მოსწავლეებთან გასაუბრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობას მიეწოდება ელექტრო ენერგია და წყალი. სკოლის შენობაში დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემისათვის გამოიყენება ბუნებრივი აირი. ყველა საკლასო ოთახსა და სასწავლო მიზნისთვის განკუთვნილ ფართს აქვს სულ მცირე ერთი ფანჯარა მაინც. შენობა-ნაგებობის შიდა სივრცე კარგად ნათდება ბუნებრივი განათებით. სკოლის ორივე შენობაში მოწყობილი სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და დასაქმებული პირებისათვის. ორივე შენობაში განთავსებულია წყლის მიწოდების სიტემით უზრუნველყოფილი 19 სველი წერტილი რომელთაგანაც 1 არის ადაპტირებული შშმ მოსწავლეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „სოკარ ჯორჯია“ სთან გაფორმებული ხელშეკრულება; • ს.ს. ენერგო-პრო ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასურის გადახდის საგადასახადო ანგარიშფაქტურებით; • შპს საქართველოს წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • მოხმარებული წყლის საფასურის გადახდის ქვითრები; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზუალური დათვალიერების მიხედვით N 1 (ოთხსართულიანი) შენობის პირველ სართულზე არსებული ოთახი გამოყოფილია ბიბლიოთეკისათვის და მის გვერდით ასევე არის სამკითხველო. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რეგისტრაციის ჟურნალის მიხედვით მხატვრული ლიტერატურის რაოდენობა შეადგენს 5000 ერთეულს. წიგნადი ფონდის რეგისტრაციის ჟურნალი დანომრილი, აკინძული და დამოწმებულია ბეჭდითა და ხელმოწერით. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები რაოდენობა 280 და ანბანური საძიებო კატალოგი. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში და სამკითხველოში არის ინტერნეტში ჩართული 8 ლეპტოპი. ბიბლიოთეკის დებულებაში გაწერილია ამოცანების და მიზნები, ხელმძღვანელობა. ქცევის, წიგნის ან სხვა ბეჭდური მასალის სარგებლობის წესი, მკითხველის პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისას. წიგნების დალაგებულია თემატიკის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ბიბლიოთეკის დებულება; • წიგნადი ფონდის აღრიცხვის ჟურნალი; • ანბანური საძიებო კატალოგი; • გრიფირებული და მხატვრული ლიტერატურის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება; • სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება; • ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შესასვლელებში განთავსებულია პანდუსები. სკოლას დასაწყობებული აქვს პანდუსები (ვინაიდან ეტლით მოსარგებლე მოსწავლე არ ყავთ) და საჭიროების შემთხვევაში დაამონტაჟებენ კიბეებზე. N 1 შენობაში პირველ სართულზე სველი წერტილი არის ადაპტირებული. სასურველია შშმ მოსწავლეთათვის მომავალში გათვალისწინებული იქნას ძირითადი (პირველი) შენობის მეოთხე სართულზე არსებული კომპიუტერული ლაბორატორია გადატანა პირველ სართულზე, ან დამონტაჟდეს ლიფტი რათა ეტლით მოსარგელე პირმა მოახდინოს აღნიშნულ ლაბორატორიაში შეღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს 47 კომპიუტერი, 4 კომბინირებული პრინტერი და 3 პროექტორი. 37 კომპიუტერი, პროექტორი და პრინტერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. 8 კომპიუტერი გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის ბიბლიოთეკაში და სამკითხველოში. 2 გამოიყენება ადმინისტრაციის საჭიროებისათვის. დაწესებულებას მიეწოდება ინტერნეტი. სკოლის ვებ. გვერდია https://schoolimedi.ge, რომელიზეც განთავსებულია: სკოლის ისტორია, მიღების პირობები, დებულება, შინაგანაწესი, ფოტო გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერნეტის მომწოდებელთან დადებული ხელშეკრულება; • დომენის ფლობის ხელშეკრულება; • კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია; • დამხმარე ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია; • ვებ. გვერდი https://schoolimedi.ge; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები და გააჩნია შესაბამისი ინვენტარი, რომელიც დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით, შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინვენტარი მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით და კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ორივე შენობის ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112. N 1 კორპუსის საევაკუაციო გეგმა შეთნხმებულია სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსთან, ორივე შენობაში არის საევაკუაციო კიბე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საევაკუაციო გეგმები; • სახანძრო დაცვასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის - 23/ნ 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01- ის შესაბამისად სკოლის N 1 (სამსართულიანი) შენობის პირველ სართულზე ერთი ოთახი ეთმობა სამედიცინო კაბინეტს, რომელშიც განთავსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იყო ყველა საჭირო მედიკამენტები, დაწესებულებას ჰყავს ექთანი რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, თუმცა სკოლის დირექტორმა დაგვიდასტურა, რომ გამოცხადებს ვაკანსიას ექიმის ასაყვანად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია ექიმის უფლება-მოვალეობები
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დებულება; • ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება; • სამედიცინო ინვენტარის ფლობის დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. სკოლის უსაფრთხოების დოკუმენტი განსაზღვრავს წესრიგის დაცვის ზოგად წესებს. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სამუშაოსა და დასვენების დროებს, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება მოვალეობებს, დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებსა და პასუხისმგებლობებს, მოსწავლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესსა და ფორმებს. სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგს სკოლის შენობასა და ეზოში მყოფი მოსწავლეებისთვის თვალყურის სადევნებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• **უსაფრთხოების სამსახურ თან გაფორმებული ხელშეკრულებით** • **სკოლის დირექტორის ბრძანება;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• **სკოლის შინაგანაწესი;** • **ვიზუალური დათვალიერებ.**
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლას აქვს 28 ვიდეო-კამერა, რომლებითაც კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. 7 აკონტროლებს სკოლის გარე და ეზოს პერიმეტრს, ხოლო 21 სკოლის შენობის დერეფნებს. აღნიშნული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეო-სამეთავალყურეო სისტემის ყიდვის ხელშეკრულებით; • ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა "იმედის" დებულება, შინაგანაწესი და კათედრის დებულება. დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობები შეტანილია სკოლის შინაგანაწესში და დებულებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი აწესრიგებს სკოლასა და სკოლის მიერ დასაქმებულს შორის შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ეფუძნება თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის, კეთილსინდისიერ და ჯეროვან შესრულების პრინციპებს. ის ხელს უწყობს სკოლის თანამშრომელთა მიერ შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამკვიდრებას და სკოლის გამართული მუშაობის ხელშეწყობას, შრომის დისციპლინის დაცვას. შინაგანაწესი შედგება შემდეგი: თავი I. ზოგადი დებულებები; თავი II. მუშაკის სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი; თავი III. სამუშაო დრო და პირობები; თავი IV. მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები; თავი V. სკოლის ადმინისტრაციის უფლებები და ვალდებულებები; თავი VI. მუშაკის წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა; თავი VII. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა ჩარიცხვა და კლასიდან კლასში გადაყვანა; თავი VIII. მშობლის უფლება-მოვალეობები; თავი IX. სკოლის მოსწავლეთა უფლება-მოვალეობანი; თავი X. სკოლაში აკრძალული წესები და მოსწავლეთა პირადი გასინჯვა; თავი XI. დისციპლინური დევნა და პასუხისმგებლობის ზომები; თავი XII. მოსწავლის შეფასება და წახალისება; თავი XIII. დასკვნითი დებულებები; დებულება შედგება შემდეგი შინაარსისგან: ზოგადი დებულებანი; 2. სკოლის საქმიანობა, მიზნები და ამოცანები; 3. სკოლაში სამუშაოს ორგანიზება; 4. საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეების უფლებები და მოვალეობები; 5. სკოლის მართვა; 6. თანამშრომელთა სამსახურში მიღებისა და ანაზღაურების წესი; 7. საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები; აღსანიშნავია, რომ არის საკითხები რომელიც გაწერილია და რეგულიდება როგორც შინაგანაწესით ასევე დებულებით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• **შინაგანაწესი;** • **პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 7.09.2021 წ;** • **სკოლის დირექტორის „იმედი“ ბრძანება N 2-03 7.09.2021 წ;** • **სკოლი დებულება;**
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების 2022-2028 წლების (გრძელვადიანი - ექვსწლიანი) გეგმა და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. აღსანიშნავია, რომ როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იყო გადანაწილებული დროები და არ იყო გამოყოფილი კონკრეტულ აქტივობა/აქტივობებზე პასუხისმგებელი პირი/პირები; სტრატეგიული განვითარების გეგმა (გრძელვადიანი ექვსწლიანი გეგმა) მოიცავს შემდეგ შინაარსს: პროგრამული მიმართულებები: მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. აღსანიშნავია, რომ 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებს, ჩაშლილია ნაბიჯებად, საქმინობებად, გაწერილია პასუხისმგებელი პირი/პირები თანამდებობების მიხედვით, ასევე აღწერილია შემოწმების წყაროები. 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დაკორექტირდა ვიზიტის პერიოდში. ანალიზი წარმოდგენილია SWOT -ის სახელწოდებით, თუმცა დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ორგანიზაციის შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია, რომ შემდგომში SWOT იქნეს წარმოდგენილი სრულყოფილი სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• **ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა;** • **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.**
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის წესებს, მოქალაქეების წერილების განხილვის, ორგანიზებისა და პროცესზე პასუხისმგებელი პირის უფლება-მოვალეობებს. წარმოებს ცნობების გაცემის (გასული წერილები), შემოსული, გასული დოკუმენტაციის, შრომითი ხელშეკრულებებისა და ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები. ჟურნალები აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• **ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი;** • **შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;** • **შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;** • **ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;** • **ვიზუალური დათვალიერება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სამეურნეო ნაწილი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, IT მენეჯერი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, ბიბლიოთეკის გამგე, ექთანი, 5 დამლაგებელი, 3 დაცვა, 2 რეზერვი მასწავლებელი, 2 წრის მასწავლებელი და 58 მასწავლებელი. მათგან 24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებელს აქვს უფროსის სტატუსი, 2 მაძიებელია, 32 მასწავლებელი დასაქმებულია მოწვეულის სტატუსით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას რომელსაც ყავს 100 ამოსწავლეზე მეტი, აქვს ვალდებულება ყავდეს ექიმი. ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოაცხადოს კონკურსი ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის მოადგილესთან სასწავლო და აღმზრდელობით დარგში გასაუბრება. • მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • სკოლის საშტატო განრიგი; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	58
მოწვეული/მაძიებელი	2/32
პრაქტიკოსი მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	24
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებელს უდასტურდება კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლის. (უმაღლესი განათლება და/ან სერტიფიკატი) ასევე სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • მასწავლებელთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და განთავისუფლების, წახალისებისა და სანქციების წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. შინაგანაწესში არსებული ჩანაწერის მიხედვით შინაგანაწესი ეფუძნება შრომის კოდექს, ზოგადი განათლების შესახებ კანონს, საქართველოს კონსტიტუციას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, მასწავლებლის ეთიკის კოდექსს. შინაგანაწესის მეორე თავი მოიცავს მუშაკის სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესს. პირველი პუნქტის მიხედვით“ მუშაკი თავის შრომით ურთიერთობას ახორციელებს შრომითი კონტრაქტის დადების გზით, რომელ;საც თან ახლავს შრომითი ინსტრუქციები თითოეული მუშაკის სპეციფიკის გათვალისწინებით“. არაფერია შინაგანაწესში ნათქვამი თანამშრომელთა კონკურსის წესით შერჩევის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ადმინისტრციასთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს რომ სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თანამშრომელთა წახალისებისა და საქციების სისტემას ეთმობა შინაგანაწესის მე-4 თავი, სადაც დეტალურადაა აღწერილი, რა შემთხვევაში ხდება მასწავლებლის წახალისება და სანქციების დაწესება. სკოლის თანამშრომელს საკუთარი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის, ნოვატორობისთვის, აღზრდაში , მიღწეული წარმატებისთვის შეიძლება გამოეცხადოს : მადლობა, მიეცეს პრემია, ყოვეთვიური დანამატი ხელფასზე გარკვეული ვადით, დაჯილდოვდეს ფასიანი საჩუქრით. გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექცია კათედრასთან კონსულტაციით, გადაწყვეტილება შიძლება იყოს ჭერილობითი ან ზეპირი და ეცნობება კოლექტივს და შეაქვთ დასაქმებულ პირად საქმეში. სანქციები წესდება იმ შემთხვევაში , როდესაც მასწავლებელი არღვევს შინა განაწესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ამ შემთხვევაში მასწავლებელს შეიძლება გამოეცხადოს : გაფრთხილება,საყვედური, სასტიკი საყვედური და სამსახურიდან განთავისუფლება. დეტალურადაა აღწერილი თუ რა შემთხვევაში წესდება თითოეული სახდელი. სკოლის შინაგანაწესს დასაქმებული დასაქმებისთანავე ეცნობა, რადგან შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს. შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი. • სკოლის დებულება; • შპს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა “იმედის” თანამშრომელთა სამსახურის მიღების წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებები შედგება შემდეგი შინაარსისგან: ხელშეკრულების მხარეები; ხელშეკრულების საგანი; მხარეთა უფლებები და ვალდებულებები; შვებულების მიცემის წესი; სამუშაო დრო და შრომის ანაზღაურების პირობები; მხარეთა პასუხისმგებლობა; შრომითი ხელშეკრულების მოქმედება და მისი მოქმედების შეწყვეტა; დავის გადაწყვეტის წესი; შრომის ხელშეკრულების ეგზემპლართა რაოდენობა; შრომის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებებში მასწავლებლის ვალდებულებები და მოვალეობები ერთანაირია და ზოგადი, უფროს, მაძიებელ, მოწვეულ მასწავლებლებთან ხელშეკრულებები მინიჭებული სტატუსის მიხედვით არ არის გაფორმებული და შესაბამისად , არ არის გაწერილი მათი უფლება- მოვალეობებიც. უსტატუსო მასწავლებლებთან 2021 წლის სექტემბერში დადებული ხელშეკრულება შეწყდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ახლი ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის იანვრის თვეში , ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მასწავლებლის სტატუსი - „ მოწვეული“, თუმცა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 9 საათს. ხელშეკრულებების ნაწილში არის შეუსაბამობებიც: მაგალითად ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ ემთხვევა ერთმანეთს. (ერთერთ თანამშრომელთან ხელშეკრულება დადებულია 2022 წლის იანვარში და ხელშეკრულების 1.7 მუხლში წერია ,რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 15 სექტემბრიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 ივნისს ჩათვლით). სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის ცნობილია ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები; ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; შინაგანაწესი; ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააზრებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პირდაპირი გავლენა სწავლება/სწავლის ხარისხზე და შესაბამისად, მისთვის მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, სოციალიზაცია, შეფასება, მოტივირება, პროფესიული განვითარება და შენარჩუნება. სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა დაფუძნებულია პერსონალის ძირითადი საჭროებების განსაზღვრასა და შესაბამისი ღონისძებების განხორციელებაზე. ადამიანური რესურსის მიზნობრივი და პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახდენს თანამშრომელთა საჭროებების გამოვლენას კვლევების საფუძველზე, კერძოდ მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების დროს მასწავლებლის მიერ დაგეგმილ და მართულ პროცესს აფასებენ სხვადასხვა მიმართულებით. ესენია: გაკვეთილის მიზნებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, გამოყენებული სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების შესაბამისობა გაკვეთილის მიზნებთან, მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, კლასის მართვას, შეფასების სისტემის ეფექტიან გამოყენებას, გაკვეთილის მიზნების ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუ მასწავლებელთა საჭიროებების კვლევამ გამოავლინა, რომ სასწავლო პროცესს მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით სკოლა იღებს ვალდებულებას რომ უზრუნველყოს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება მათი პროფესიული განვითარების მიზნით. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. ჯგუფის მუშაობის პრინციპებია: გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. პროფესიული საჭიროების გამოსავლენად და შესაბამისი დახმარების აღმოსაჩენად. წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია მასწავლებლების როგორც ძლიერი მხარეები ასევე პროფესიული საჭიროებები და განვითარების სასურველი მიმართულებები. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებასაც საგაკვეთილო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, მასწავლებლებისათვის კონსულტაციის გაწევა, მასწავლებელთა ინფორმირება საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და ტრენინგების შესახებ, საჭირო ტრენინგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოძიება, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ღია ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა, შეფასება და განმავითრებელი შეფასების მიცემა, კათედრებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა წარმოადგენს. რაც შეეხებათ თვითონ მასწავლებლებს, მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის კითხვარის მიხედვით, თვლიან რომ სკოლა ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, ნაწილი თვლის რომ მეტნაკლებად ზრუნავს სკოლა მათ პროფესიულ განვითარებაზე, ამრიგად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ანგარიშები, ჩატარებული კვლევის ანალიზი და სკოლის მასწავლებლებთან და პერსონალთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე და ზრუნვის საგანს განსაზღვრავს მათი პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სსიპ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა "იმედის" ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის შიდა და გარე პროფესიული განვითარების მექანიზმები; • მასწავლებელთა პორთფოლიოები; • კათედრის სხდომის ოქმები; • მასწავლებლთა ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობები; • ხარისხის მართვის სამსახურისა და სასწავლო ნაწილის გამგის ანგარიშები; • მასწავლებელთა გამოკითვის მასალები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადამიანური რესურსის მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელი იქნება დასაქმებულ პირებზე პასუხისმგებლობების გადანაწილება. უფლება მოვალეობების ნაწილის მიხედვით მათი შესაძლებლობების გამოვლინება. გასაუბრებისას მოსწავლეები და მასწავლებლები ხშირად აკეთებენ აქცენტს ერთმანეთის მიმართ დადებით განწყობასა და ურთიერთდახმარების სურვილზე, სხვადასხვა საკლასო და სასკოლო აქტივობების ერთად დაგეგმვასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • მოსწავლეებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
რეკომენდაციები:	
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

....

(შევსების ადგილი) თარიღი
06.07.2022 წ

გვერდების რაოდენობა 48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.